ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის სხდომის
ოქმი N4

დაბა ქედა **24 ივნისი, 2026 წელი**

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 13:25 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ტაკიძე - კომისიის წევრი;
არკადი საკანდელიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მურად დიასამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;
საკრებულოს აპარატის დამხმარე სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - თეონა ჯინჭარაძე.
მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - გულადი წითელაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.06.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	არკადი საკანდელიძე	კომისიის წევრი	
5	მურად დიასამიძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ტაკიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი;**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი გულადი წითელაძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა.**

მომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 18 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა (განცხადების ნომერი:12-95261691-95; განცხადების თარიღი:18.06.2026) ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი".

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა გულადი წითელაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონების) ნუსხა წარმოადგინა შემდეგი სახით:

N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენობა-ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის საკადასტრო კოდი	გასაყიდი ქონების მოცულობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საწყისი (მთლიანი) გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.0	21.03.33.072			17430.00	
2	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.0	21.01.37.007 .01.500			18594.00	
3	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.0	21.05.33.026			6922.00	
4	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.0	21.03.35.005			106233.00	
5	FORD TRANSIT 2.4D (მიკროავტობუსი) სახ. ნომრით HB137HH	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა (სპორტსკოლის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						9000.00	

6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა	ქედის მუნიციპალიტეტი		39.0	21.03.34.584			2574.00	
7	ავტომობილის ასასვლელი (სარემონტო) რამპა	სოფელი ძენწმანი	ქედის მუნიციპალიტეტი						1150.00	
8	ალუმინის მეორადი კარ-ფანჯრები	სოფელი ცხემნა	ქედის მუნიციპალიტეტი				204.62 კვ.მ.	50.00	7675.00	საწყისი საპრივატი ზეგო თანხა 10231 ლარი შემცირდეს 25 %-ით და განისაზღვროს 7675,0 ლარი.
9	ავტომანქანა - „HONDA CR-V 2.4“ სახელმწიფო ნომერი DH-971-HD	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						1300.00	
10	ავტომანქანა „HONDA CR-V 2.01" სახელმწიფო ნომერი CH-977-HC	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3(მერიის ეზო)	ქედისმუნიციპალიტეტი						1100.00	
11	მიკროავტობუსი „MERSEDES-BENC SPRINTER“ სახელმწიფო ნომერი JJ-923-AA	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა (სპორტსკოლის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						34400.00	
12	ავტომანქანა "MITSUBISHI outlander". სახელმწიფო ნომერი XX-041-PX	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						5000.00	
13	ავტომანქანა - MITSUBISHI L200. სახელმწიფო ნომერი HB-838-BH	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						18000.00	
14	ავტომანქანა - MITSUBISHI IO. სახელმწიფო ნომერი HB-923-HH	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						4500.00	

კომისიის წევრებს წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შემოწმება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ეკომონიკური განვითარების სამსახურის უფროსი
3	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2026 წლის მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

დამტკიცებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:25 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **მერაბ ნაკაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის
დამხმარე მოსამსახურე
კომისიების საქმიანობის
ორგანიზაციულ საკითხებში **თეონა ჯინჭარაძე**